# თეატრი და ცხოვრება

№ 9 ფასი 10 მანათი

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 100 მან., ნახევარი წლით 60 მან. თითო ნომერი—10 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. კვირა, მარტის 7 გამოსვლა 1920 წ.




ბელეტრისტი მელანია
(დეკ. ნიკოლოზ გიორგისძე ნათიძე)
(ცნობა იხ. 16 გვ.)



**თბილისის მაზრის ერობა**

პირველ რიგში სხედან გამგეობის წევრნი: მ. მ. იშხანოვი, ი. ა. ლომაური, ე. გ. ბვალიშვილი, დ. გ. ონიაშვილი (გამგეობის თავმჯდ.) ლ. გ. ასათიანი (საბჭოს თავმჯდ.) ის. სტურუა (მისი ამხ.) გ. ი. კანდელაკი, ნ. გვანცალაძე (მდივანი), რ. რ. გაგუა, ა. ს. კეკელიძე (მთავარი კანტროლიორი); ხმოსნები მეორე რიგში: გოგიშვილი, ვ. კანჯარაშვილი, ს. სუთიაშვილი, არ. ბილანიშვილი, კ. ჭყონია, გ. ჯილაური, ა. თეზელაშვილი; მესამე რიგში: ვალ. ბილანიშვილი, მ. ჯილაური, მ. წამალაშვილი, მელ. ლებანიძე, ალი სოინ-ოღლი და ალ. არუთინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოვნო—სათეატრო—სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება“

დაარსებულია 1910 წ. გამოდის ყოველ კვირა, თითო № 10 შ. წლიურად ჯერჯერობით 100 მანათი, (შეიძლება ფასი მოემატოს). ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში (ბაზრის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა, № 20)

(ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულებაც).

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

## სიტყვა—განცდა

როდის იყო, რომ უსულო სხეული გულწრფელ განცდას იწვევდა მაყურებელში?—არასოდეს! და აკი ამიტომაც არის ჩვენი თეატრი და ბოლო დროის მოდის ხელოსან—„პოეტთა“ „შემოქმედება“ ყოველგვარ განმცდელობას მოკლებული.

უსულგულო ხელოსნური ჩარჩო,—აი, ახალი შემოქმედების უმეტესი „ძეგლი“.

ასეთი არაბუნებრივობა, უსულგულობა კიდევ უფრო მეტად სცენაზეა შესამჩნევი.

იყო დრო, როდესაც ჩვენს სცენას თანაბარ ეუფლებოდა ქართული ლამაზი სიტყვა და ნამდვილი განცდა. ეს მაშინ იყო, როცა მაკო საფაროვ-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ეფ. მესხი, ნ. ჩხეიძე ნ. დავითაშვილი და სხ. მათი მსგავნი ჩვენი სათეატრო ხელოვნების ტაძარში მღვდელმსახურებდენ...

ჩვენი თეატრის გაფურჩქვნის ხანის ბევრ მომსწრეს დღესაც თვალწინ უდგას ის სულიერ ცვალებადობით გამოწვეული ხატება, სიტყვაში გრძნობის ჩაქსოვა, სახის მეტყველება, რომლითაც ზემორე კურთხეულნი იყვნენ მოსულნი...

ესენი იყვნენ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „ზ ცით რჩეულნი, მიწით დაჯილდოვებულნი ქურუმნი“ და მიტომაც ეუფლნენ მშობელი ერის სულსა და გულს!..

მათ შეგვაყვარეს არა თუ მხოლოდ ქართული—მშობლიური მეტყველება, არამედ სულით და გულით გაგვაფაქიზეს...

ასე იყო სცენაზე, ასევე მწერლობაში.

გულწრფელობა, სილამაზე, უმაღლესი განცდა,—აი მათი დამახასიათებელი თვისება.

და მაშინ სცენაზე თუ მწერლობაში მხოლოდ ის გა ოდიოდა, ვინც რჩეული იყო, უმაღლეს გრძნობა-განცდით დაჯილდოვებული. დღეს ვინ არ გინდა ხელოვნების ამ ორს დარგს არ ეპოტინება! ესენი არა თუ ბუნებით ნიჭიერნი, ხელოვანნი, არამედ, ცოტათ თუ ბევრად, გაოსტატებულნი ხელოსანნიც არ არიან!

უწინ თუ სცენასა და მწერლობას მხოლოდ შინაგანის ცეცხლით აღგზნებულნი დიდის მოკრძალებით მიუდგებოდენ, დღეს ვისაც მოესურვება და ქაღალდი აუტყდება—„პოეტობს“ და „არტისტობს“...

და იშვიათია, რომ ძველის ყაიდის პიესებში ნიჭიერი მსახიობი წაბორძიკებული იყოს. მათს ვეება მონოლოგებს მაყურებელი დიდის განცდით ისმენდა... მართალია ჩვენს სცენასაც ახსოვს ზოგიერთი ისეთი მსახიობნი, რომელნიც თავის მონოლოგებს ისე აბდა-უბდა სიტყვებით წარმოსთქვამდენ ხოლმე, რომ გონიერ მოქართულე მსმენელს შეზარავდა, მაგრამ სამაგიეროდ ამ ჯურის მსახიობებში ცრუ კლასიკური მგრძნობლობა სჭარბობდა და თეატრის მდაბიო მსმენელთა უმრავლესობას იმონებდა...

დღეს ასეთი მსახიობი აღარ გამოდგება, არც ყალბი მწერალი...

ძველად იტყოდენ:

„სიყვარული არ იქნება ძალათო!“

დღეს კი დაკვირვება გვათქმევინებს: ხელოვნობა არ იქნება ძალათა!..

ლამაზი სიტყვა და გულწრფელი განცდა,—აი, რა არის საჭირო. ეს კი შეუძლიან ბუნებით რჩეულ ნიჭიერსა და შრომა-მეცადინეობით გონება-სიტყვა განვითარებულს.

სიტყვა თვინიერ განცდისა მკვდარ არს, ხელოვნება მოკლებული განმცდელობას უბრალო ხელოსნობადაც არ ჩაითვლება... გულწრფელი სიტყვა განცდის მშობელია, ხოლო ჭეშმარიტი განცდა—ლამაზი სიტყვის წყარო...

ჩვენი დღევანდელი სათეატრო-სამწერლო ხელოვნება მერყეობაშია, მას ბევრი კათაკმეველი წაჰპოტინებია, მაგრამ ეს წარმავალია. ჩვენი ერისა და ხალხის შინაგანი ალღოიანობა დიდხანს ვერ შეეგუება სიყალბეს.

და ხელოვნების ყველა ჭეშმარიტ გულშემატკივარის მოვალეობაა, ყოველის ღონისძიებით ხელი შეუწყოს, რომ ყალბის მქმნელნი, ეგრედ-წოდებულნი ხელოვანნი, ქათქათა და ჭყეტელა მწერალნი, და მსახიობნი დროით გადირეცხონ ჩვენის ხელოვნების ასპარეზიდან და გზა მისცენ ლამაზი, მაღალი სიტყვის ჭეშმარიტ გულწრფელ განცდის ხელოვანთ!

იოსებ იმედაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. დ შელუდკოვსკისა
საოპერო მომღერალი „ქეთო და კოტე“-ში ბარბალე.

## მწუხარების ცრემლი მდის...

დავიტანჯე. ერთხელაც შვება არ მიგემია,
მწუხარების ცრემლი მდის, ვგოდებ ვით ერემია...
სამართალი ვერ ვპოვე ვერსად წუთის სოფელში,
ბედით დაჯაბნებული ვცურავ სევდის მ რევში...

სადღა ვძებნო სიამე?.. გაქრენ შვების წუთები,
წალმა ველარ წავსულვარ, სულ უკუღმა ვბრუნდები..
არ მყოლია მოყვარე, ვინმე კარგის მდომელი,
გულში დანა დამარტყა ვისაც მივე ყოველი...

და იმედის ყვავილი დასჭკნა... დავასამარე,
შემოდგომის ფოთოლი სახსოვრად დავაყარე...
სიყვარულის ნარგიზმა თავი დაბლა დახარა...
თვალი ველარ იხილავს რაც წარსულმა დაფარა...

ბ პელაშვილი

## მდიდარი კაცი

ჯერ კიდევ ყრმა ვიყავი, როცა ჟურნალ-გაზეთობის ტრფობა ჩამივარდა გულში.

არ გამომეპარებოდა არც ერთი მოვლენა, რც ერთი საკითხი, რომელიც კი იქცევდა საზოგადოების ყურადღებას.

ერთხელ თვალი მოვკარი გავრცელებულ გაზეთში სამგლოვიარო განცხადებას და ერთ შიცვალებულისადმი მიძღვნილ მხურვალე გრძნობით სავსე წერილს.

განსვენებულის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო, ვექილი და მწერალი

თვით ის გაზეთი მისი დაარსებული იყო და ავტორიც მისი გამოზრდილი და ლიტერატურის სარბიელზე სანავარდოდ ნაკურთხი.

მოწაფის წრე, მოგეხსენებათ, შემოფარგლული წრეა და მეც ამ წრის გარედ ნაკლებად ვიცნობდი ვისმე, მაგრამ განსვენებული მწერალი ჩემი პირადი კარგი ნაცნობი იყო.

მისი მოღვაწეობა, არა მარტო როგორც მწერლისა, დიდი ხანია იწვევდა ჩემს ყურადღებას და პატივისცემას.

გასაკვირალიც არ იყო: სახელი მოხვეჭილი ჰქონდა ფართო წრეებში...

ამიტომ სრულებით არ გამკვირვებია, როდესაც მის ბინაზე მოსვლისას აუარებელი ხალხი დამხვდა თავმოყრილი.

ყოველი წრის კაცს შეამჩნევდით აქ. იყვენ ლიტერატორნი, ყველა ჯურის მწერალნი, მხატვრები, ვექილები, მრეწველები, მუშები და ერთ დროს ეგრედ წოდებულ მდაბიო ხალხის წარმომადგენელნიც.

წუხილი საერთო იყო. უმეტესად ჰგლოვობდა მშრომელი ნაწილი. ეტყობა ნაღვაწს ღრმად მოეკალათა მუშაკაცის გულში...

მწერალს დარჩენილი ჰქონდა აგრეთვე მდიდარი კაცის სახელი.

ცნობილი ვექილი არ ივიწყებდა გაჭირვებულს არც თვისიანს, არც გარეშეს. სადაც მიუწვდებოდა თვალი და ხელი, ყველას და ყველგან ევლინებოდა მფარველად. ჰშველოდა მწერლობასაც და ბევრს სხვა საკულტურო საქმეს.

ხშირად გაიგონებდით:

— საკვირველი, უცნაური კაცია! სრულებით არაფერი მითქვამს, მაგრამ, როდესაც მინატრია მშველელი, სწორედ მაშინ, თითქო განზრახ გაღებულა კარი და შემოსულა წვლილით ხელში ეს განსაკუთრებული ადამიანი!..

ამას გაიგონებდით არა ერთი და ორი კაცისაგან...

ჰკითხავდნენ ხოლმე ხშირად: ხომ არ გამდიდრებულხარო, ის არც კი იმჩნევდა ამ გაკვირვებას და განაგრძობდა თავის გულის მოთხოვნილების შესრულებას.

ასეთმა ქცევამ სახელი გაუთქვა მდიდარი კაცისა.

— მდიდარი რომ არ იყოს, გიჟი ხომ არ არის, თავის ქონება სხვებს დაურიგოსო, იტყოდა ხოლმე მეწვრილმანე ადამიანი, რომელსაც კარგა ღრმად ჰქონდა გამჯდარი არსებაში ერთად-ერთი მცნება: თავისთავის თაყვანი, ფიქრი და ზრუნვა.

— შეძლება რომ არა ჰქონდეს, დახმარებას რად ალმომიჩენდაო,— ურცხვად უდასტურებდა მობაასეს გვერდში მდგარი მსმენელი, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა ჩაეთვალა თავისი თავი მიცვალებულისაგან დავალებულად.

ასეთმა ახმაურებამ სწორედ იმ პირებისამ, რომელნიც განსაკუთრებით იყვნენ აღნიშნულნი და ხელგამართულნი ქველ-მოქმედისაგან, ყველანი დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნა, რომ ვექილი აუარებელი ქონების პატრონი იყო და ზოგს კიდეც ათქმევინა საყვედური: მე რატომ ლა გამომწირაო.

ზოგიერთი ცილსაც არ ერიდებოდა:

— ძუნწი კაცია, ფული აქვს შენახული, თორემ ამდენს როგორ გასცემდა საქველოდო?!..

— მაშ! რამდენსაც არიგებს, ასჯერ მეტი დაზოგვილი აქვსო,—უმატებდა მეორე, თითქო შურდა, პირველმა არ გამასწროს მეცილეთა დოღშიო...

ჯერ კიდევ ცხედარი ესვენა თავის სახლში და ოჯახი ცხარე ცრემლს ჰღვრიდა კუბოზე, ბინის გარედ რომ ასტყდა ჩოჩქოლი, რომლისთვის ყური რომ დაგეგდოთ, შეიტყობდით მოლაყბეთა უცნაურ მოლოდინს.

თურმე, ანდერძს ელოდენ:

— აბა, ვნახოთ, ვის რამდენი დაუტოვაო?

და ამის მიხედვით სურდათ დაეხასიათებიათ საწუთროდან გასული.

ცხედრის გამოსვენება შეგვიანდა...

მოღვაწეს არ აღმოსჩენოდა არავითარი საღსარი და ნათესავ-მეგობარნი დარბოდნენ, დაეძებდნენ, სადაც კი შეეძლოთ, ფულს, რომ ღირსეულად დაეკრძალათ უცაბედად გარდაცვლილი ჩუმი ქველი.

ბოლოს გამოასვენეს... მიცვალებულის ბინაზე მისვლისას საზოგადოებას თუ დავატყე განცვიფრება, რიღასიც ლოდინი, ცხედრის ნაგვიანევ გამოსვენებისას შევამჩნიე რაღაც ღარცხვენილობა...

სჩანს, ჭეშმარიტებას უკვე გზა გაეკვლია გაუსწორებელ მეწვრილმანის გულისაკენ...

**ბრილლი**

# ძველ რვეულიდან

შენთან გავაბი სიყვარულის ნაზი სიმები:
ო, გევედრები, გევედრები არ დამიწყვიტო!
თუ გინდ შანთებით წამება რომ გადამიწყვიტო,
შენსკენ მოილტვის სული, სევდით დანამძიმები!

შენი აჩრდილი არ მასვენებს ღამე ბინაში:
თმებ-აბურძგვნილი ბნელ ქუჩაზე გამოვვარდები,
მინდა მძინარეს დაგაყარო ცრემლის ვარდები
და, შემოვსჭრიტავ შენს ოთახის ფანჯრის მინაში.

შენსკენ მოილტვის სული, სევდით დანამძიმები,
თუ გინდ შანთებით წამება რომ გადამიწყვიტო!
ო, გევედრები, გევედრები არ დამიწყვიტო:
შენთან გავაბი სიყვარულის ნაზი სიმები!..

**ლადო პერტაია**



**ი. ზ. როგაჩევსკი**

საოპერო მსახიობი „ქეთო და კოტე"-ში კოტე.

# ფიქრი საქართველოზე

## IV

**ბათომი.**

> Природою здѣсь намъ суждено
> Въ Европу прорубить окно.
> Пушкинъ.

1918 წ. აპრილის 1 მწარე მოსაგონი დღეა ჩვენი ხალხისთვის. ამ დღეს დავკარგეთ მტკიცე და შეურყეველი ციხე-სიმაგრე და შესანიშნავი ნავთსადგური ჩვენი ბათომი. ეს მოხდა ოსმალთა შემოსევის გამო.

საბედნიეროთ ოსმალთ ბატონობა არ გამოდგა ხანგრძლივი ბათომში.—გამარჯვებულმა ანტანტამ ადრევე მოჰკიდა მათ თავისი გუდა-ნაბადი და გაისტუმრა ისევე უკან სტამბოლისაკენ.

მაგრამ ერთის წასვლით მეორე მოევლანა ბათომს და მისი ბედი აიხლართ-დაიხლართა.

ამ ჟამად ბათომის და მისი ოლქის ყოფა კრიტიკულია.—ხელოვნურად მოწყვეტილი დედა-საქართველოსგან განიცდის ყოველგვარ უბედურებას და, მიუხედავად იმისა, რომ ბათომის ოლქის მცხოვრებთა არა ერთხელ გამოთქვეს თავიანთი დიდი სურვილი და მისწრაფება საქართველოსთან შეერთებისა, მათი ხმა ვედრებისა დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".—

ამის გამო, საქართველოც განიცდის უდიდეს ტრაღედიას, რადგანაც ბათომს ჩვენთვის მეტად დიდი პოლიტიკური, ეკონომიური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ბათომი საქართველოს გაევროპიელობის გზა და ხიდია. მისი ახალი კულტურის აკვანია.—

ბათომი საქართველოს გვირგვინში საუკეთესო და ძვირფასი თვალია.

პირველად საქართველოში თავისუფალი სიტყვა აქ გაისმა და პირველი მსხვერპლი ჩვენი თავისუფლებისა აქვე დაეცა.—

ბათომელ სახელოვან მუშათა წრიდან არიან გამოსულნი თბილისის დღევანდელი მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი, გვარდიის წინამძღოლი ალ. დგებუაძე, ვლასა მგელაძე და სხვა ჩვენთვის თავდადებულნი მებრძოლნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღეს ეს აკვანი ჩვენი თავისუფლებისა ჩვენ მოსისხლე მტერთა საჯიჯგნელათ გამხდარა.

ყველა ჩვენს მტერსა და ორგულს აქ მოუკალათნია და დაუღალავად მუშაობს, რათა ხელი შეუშალოს ამ ძმათა—საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს—გაერთიანებას, ერთ სახელმწიფოებრივ ნაკვთად გამოჭედვას.

ის კრიზისი, რომელსაც ეხლა განიცდის ბათომი და მისი მხარე, კატასტროფიულია და, რასაკვირველია, ამას საქართველო გულ-გრილათ და დამშვიდებით ვერ შეხედავს.

ყოველ მიზეზს გარეშე ყოველგვარი გაბედული და გადამჭრელი ზომა უნდა მივიღოთ რათა დახსნილ იქმნას სრულ განადგურებისაგან ბათომი და მისი ოლქი.

ბათომის და მისი ოლქის ტრაღედიას მაშინ მოეღება ბოლო და საქართველოს თავისუფლების მზეც კიდევ უფრო ბრწყინვალედ მაშინ აელვარდება, როდესაც ბათომის ზღუდეთა შორის საქართველოს დროშა აფრიალდება ორ ძმათა—სამუსლიმანო და საქრისტიანო—საქართველოს სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

ყოველი ქართველი მთელის თავისის არსებით უნდა ცდილობდეს ამ დღის მალე გათენებას...

**გრ. კუნჭულია**

## მაშ, წინ გმირნო!...

(ძღვნად ბათომის გმირებს).

ველი, ველი სულის სიტკბოს,
რომ ჩამეკრას მშობელს გულსა;
მინდა შვებით მიმორბედოს
განთიადის მოციქულსა!...

მაგრამ ჩაგრულს არ მეღირსა
მის სიტურფე, მისი მზერა!...
ნუთუ სრულად შეჩერდება
სიხარული, გულის ძგერა?

მაგრამ არა! ვერ აიტანს
ამას ჩაგრულთ კრული გული:
გინდ რომ მსხვერპლად შეიწიროს
მომავალი სიხარული...

მაშ, წინ! მედგრად, გმირთა გმირნო!
მოხდეს რაც, რომ საქმნელია,—
უბათუმოთ ჩვენი ყოფნა,
აბა, რაღა სათქმელია?!

**დ. გაბრუაშვილი**



## იასე რაჭველი

(გარდაც. წლის თავის შესრულების გამო)

გასული წლის მარტში ლაგოდეხში მოულოდნელად გარდაიცვალა სამშობლო ქვეყნის ერთი დაუცხრომელი მოყვარულ-მოტრფიალეთაგანი, ძველი პოლიტიკური დევნილი, მწერალი და საზოგადო საქმეებით გატაცებული ადამიანი.

ეს იყო იასე მაქსიმეს ძე მეხუზლა, იასე რაჭველი.

იასე რაჭველი თვითგანვითარებით ეწია სამშობლოს სამსახურის შეგნებას და სიყრმიდან ამას მხნედაც შეუდგა. ოთხმოციან წლებში ძველის მთავრობისგან დევნილი გადიხვეწა საზღვარგარედ, ოსმალეთს, სადაც პირველ განმანთავისუფლებელ მოძრაობამდე დარჩა. საბერძნეთსა და სტამბოლში ყოფნის დროს შეისწავლა თურქული, ბერძნული და სხ. ენები. ამავე დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს ათავსებდა, ადგილობრივ გახვეწილ ქართველთა შორის სამშობლოს სიყვარულის იდეას ავრცელებდა, მამულიშვილობის გრძნობას აღვივებდა. დასწერა მოთხრობები: „მეექვსე ნომერი“, „რაშია ბედნიერება“, „მარიანა“ და სხ. გამოსცა წერილები თამარის, შოთას, ამირანის და სხ. სურათებით, შესაფერი წარწერებით, რომელთაც იმ ხანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სამშობლოში დაბრუნებისას დიდ სამრეწველო საქმეებს მოჰკიდა ხელი, მაგრამ საქმე ვერ წაუვიდა კარგა. ბოლო ხანს ლაგოდეხს გადასახლდა, სადაც, სხვათა შორის, დაიწყო ხელთნაწერ ჟურნალის „ჰერეთის“ გამოცემა, რომელშიაც ჩვენს საეროვნო-საზოგადოებრივ და ადგილობრივ კითხვებს არკვევდა. ამ ჟურნალს საკუთარი ხელით სწერდა და გექტოგრაფით ბეჭდავდა.

ზემორეხსენებულ ნაწარმოებთა გარდა, დარჩა მრავალი ხელნაწერი—ლექსაბი, პოემები, რომანი, წერილები და სხ. როგორც შევიტყვეთ, მისს ქვრივს და მეგობრებს განუზრახავთ ამ ნაწარმოებთა ცალკე გამოცემა. სწორედ კარგი განზრახვაა.

იასე ჯერ შუახნის არც კი იქნებოდა და ამიტომაც მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა საერთო მწუხარება გამოიწვია.

მასში სცემდა ნამდვილი მამულიშვილ-დემოკრატის გული და ნუმც დაელევა მსგავსი გულნი ჩვენს სამშობლოს.

**იოსებ არიმათიელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხელოვნება

(ჩემი შენიშვნები)

ამ წერილებში ჩვენი მიზანია სოციოლოგიურ ანალიზ-თვალთსაზრისით შევეხოთ ჩვენის ხელოვნების განვითარებას წარსულში და დღეს.

მართალია დღევანდელ მეტად ნერვიულ და პოლიტიკურად საბედისწერო მომენტში ისეთ კითხვებზე წერა და ბაასი, როგორც არის ფილოსოფია, სოციოლოგია, ხელოვნება, რელიგია, ფრიად ძნელია და უხერხული, მაგრამ ბიოლოგიურ კანონის ძალით ყოველგვარი არანორმალობა ცოცხალ ორგანიზმში მავნებელია. და სოციალური ორგანიზმიც ხომ ამ შემთხვევაში ანალოგიურია ბიოლოგიურ ორგანიზმთან.

თუ სხეული ჰარმონიულად არ ვითარდება, თუ მასში დაცული არ არის ელემენტთა შედარებითი რიტმი, იქ ყოველთვის იქნება ძახილი უდროო სიკვდილზე სიცოცხლის ნაკლებობისა გამო.

რევოლიუცია პოლიტიკის სფეროდან სოციალობის სხვა მხარეებზედაც გადადის. პირიქით, სხვა მხარეებში უფრო ადრეც კი იწყება რევოლიუცია, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში იგი უფრო რელიეფიურია და ამავე დროს უფრო საგრძნობელიც მასსა რევოლიუციის ხანაში, მის განვითარების მსვლელობაში ვითომც და ივიწყებს გარდა პოლიტიკისა ყველაფერს, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება კლასთა ბრძოლის გადამჭრელ მომენტამდის და შემდეგ კი დადებით შემოქმედებითი მუშაობას იწყებს გამარჯვებული კლასი სოციალურ განვითარების ყოველ დარგში.

ჩვენში არსებული სოციალური პირობები, აგრეთვე ეროვნული საქმე მოითხოვს, რომ მთელი ჩვენი ყურადღება და მეცნიერულ მუშაობის ცენტრი, როგორც ქვეყნის ნივთიერ ეკონომიურ-პოლიტიკურ აღორძინებას, ისე ეროვნულ შემოქმედების ხელოვნურ სამყაროშიაც გადავიტანოთ.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვკისრულობთ ამ პატივსადებ მიზნის ასრულებას — ჩვენი ხელოვნების სრულიად შეხებას, — ეს ჩვენს დღევანდელ შეძლების აღემატება. მხოლოდ, როგორც დაინტერესებული პირი, ჩვენ ვეცდებით შევეხოთ ამ კითხვას. ეს იქნება ცდა ჩვენი წარსულ და დღევანდელ ხელოვნების სოციოლოგიურად განხილვისა.

## I

დავიწყოთ მე XII საუკუნიდან, თუმცა ქართულ ხელოვნებას ადრინდელი ისტორიაც აქვს, და საკმაოდ მდიდარიც. მაგრამ ჩვენ შევეხებით ჩვენის მეთოდით იმას, რაც უკვე შესამჩნევად მაინც განვითარებულ — გამორკვეულია.

მე VII საუკუნეში საქართველო სოციალურად მეტად განვითარებულ სხეულს წარმოადგენს. თუ მივიღებთ იმ შეხედულებას, რომ ეროვნული მთლიანობა ღირს-შესანიშნავი საშუალებაა და აუცილებელიც, რომ ერის სულიერი შემოქმედება დასრულებული და უნაკლო იქნეს მაშინ ადვილი გასაგები იქნება მთელი ის დიდი და შესამჩნევი დარღატება, რომელიც მოხდა მე VI—VII საუკუნოებში. არ შეგვიძლია, აქვე მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ ერთ განსაკუთრებულ რამ მოვლენას. ეს არის სილამაზის მხილება ეროვნულ (თუ გინდ რასიულ) ხელოვნურ ნაწარმოებებში.

ამაზედ ამბობს ანატოლ ფრანსი: „ერის სილამაზეს მე ვამტკიცებ ეროვნულსავე ალფაბიტებითო“.

რასაკვირველია, ჩვენ ამ კითხვას ხელოვნების მეტაფიზიკის სამფლობელოში არ ვათავსებთ. ამას ჩვენ ვხსნით დარვინის ევოლიუციონურ კანონით, რომელიც არსებობისთვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება. მაგრამ, თუ ხშირად მეტაფიზიკა ჰფლობს სილამაზეს (ანუ მშვენიერებას), ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ვარდის — მშვენების — ქიმიურად დანაწილება ბევრს სილამაზის კანონის ღირებულების დაცემად მიაჩნია.

სწორედ ქართულ სიტყვას (უფრო სწორედ რომ ვსთქვათ **თქმას**) ახლავს ეს თავისებური სილამაზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-რასიულ მომენტს მიეწერება. აიღეთ სანსკრიტული, სლავიანური, გერმანული ალფაბიტი ქართულ ალფაბიტთან შედარებით სილამაზით ძლიერ დაბლა დგას. შეიძლება ჩვენ პირადი, მშობლიურის მომხიბვლელობით მოგვდიოდეს, მაგრამ ამას ხომ სრულიად უცხოელნიც ამტკიცებენ! აი, ეს განსაკუთრებული სილამაზე ახლავს ჩვენს ხელოვნებას დასაბამიდან დღემდე და, რასაკვირველია, მე XI XII საუკუნის ხელოვნებასაც.

პირველი სოციალური მომენტი, რომელიც აფერადებს ჩვენს ხელოვნებას, გახლდათ უზრუნველყოფა სოციალურ სხეულისა ნივთიერ პირობებით. მეორე — ეროვნული მთლიანობა. ვინც კი დაახლოვებით იცნობს ჩვენის უულების ისტორიას და კლასიკურ პერიოდის, სოციალურ მშენებლობის სანქციას, უფლებრივად დაკანონებას, მისთვის უცხო არ უნდა იყოს ყველა ის ხელოვნური მარგალიტები, რომელიც მოგვცა ხსენებულმა ხანამ. სოციალურ კლასთა ურთიერთს შორის დამოკიდებულება და ახალი ნაკადულის საზოგადოებრივ აზროვნებაში სხვადასხვა კულტურულ მხარიდან შემოსული და ადგილობრივ პირობებთან სინამდვილესთან შეფარდებულ-შექმნილი და იმ სამს ელემენტს რუსთველის „ვეფხის ტყაოსანში“ რომელსაც ჩვენი მწიგნობარნი „სიყვარულ-მეგობრობა — გმირობით“ აღნიშნავენ.

ჩვენ არ გავაგრძელებთ ბაასს ყველა იმ ნაწარმოებებზე, რომელიც მოგვცა XI-XII-XIII საუკუნემ, მხოლოდ მოკლედ შევეხებით რუსთველის „ვეფხის ტყაოსან“-ს და აღვნიშნავთ იმ წყაროებს, რომლიდანაც შეიქმნა „ვეფხის ტყაოსანი“ და გამოქანდაკდა მისი გმირები.

ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა უშველებელი ფიზიოლოგიურად, არც ისეთი რამ ურგუნებია ისტორიას ქართველი ერისთვის, რომ ის გამხდარიყო მებაირახტრე საერთაშორისო რეფორმატორული მოძრაობისა როგორც ძველი საბერძნეთი, რომი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია იყო. ამის მიზეზად, როგორც ზოგიერთი ისტორიკოს-სოციოლოგები ფიქრობენ, ფიზოლოგიური სიმრავლე არაფერ შუაშია. მაშინ ხომ შეუძლებელი იქნებოდა ნაზარეველის წარმოშობა ფიზიოლოგიურად მცირე ურიასტანში. განა მცირე ელლადამ არ წარმოშვა ჰომეროსი, იმ დროს, რიოდესაც ფიზიოლოგიურად დიდი რომი და მისი მწერლები პლაგიატორობდენ?

ასე რომ ერის რიცხვითი სიმრავლეზე არ ყოფილა დამოკიდებული მისი კულტურის სიმძლავრე, კულტურის მესაჭეობა, თუმცა ხშირად სიმრავლე გადადის ხარისხზე.

საქართველოს სოციალურ და ეროვნულ განვითარების შარა გზაზე მთელი საუკუნოები შეუწყვეტლივ ისეთ სოციალურ-გეოგრაფიულ რგოლში მოუხდა არსებობა, რომ იგი ყოველ სოციალურ იდეალს, აგრეთვე ხელოვნურს, აზიიდან ევროპას აზიარებდა და ევროპიდან აზიას, ეს შეიძლება, ჩვენის მოსაზრებით უდიდესი ისტორიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიაც კი იყოს, მომავალში საქართველოსთვის. აი, ეს როლი ქართველი ერისა კაცობრიობის წინაშე საუკეთესოდ შლილია „ვეფხის ტყაოსანში“. საუბედუროდ დრონებას არ გვაძლევს, რომ ხსენებული ტენდენცია თავიდან ბოლომდე ისტორიულ მონოგრაფებით აღვნიშნოთ. მხოლოდ დაინტერესებულთა ყურადღებას მივაქცევთ რუსულ ჟურნალ „Вѣстникъ Знанія“ მე № 8, სადაც რუსი მწერალი ნ. პრიაშნიკოვი იკვლევს აზიასა და ევროპას შორის ურთიერთობას შორეულ წარსულში. ქართულ ლიტერატურაში გაკვრით თუ თქმულა რაიმე ამ საკითხზე, თორემ კაპიტალური ნაშრომები არ მოგვეპოვება.

აიღეთ „ვეფხის ტყაოსანში“ გამოთქმული ფილოსოფიური მოსაზრებანი. აქ არის ელემენტები უპანიშადების ფილოსოფიისა, ვედონტა-ფილოსოფია, საკუნტალა მაჰამბარათა, ელლინზმის ნატეხები, ფილოსოფოსს პლატონის „ღვთაებრივი სუნთქვა“ და სხვა. ქართველი ერის ხელოვნური სულიერი შემოქმედება კი შემარიგებელ — შემახამებელ სინტეზის მოსაქმედ-გამოდის და სწორედ ყველაზედ უფრო შემარიგებლობის ჰარმონიას ქართული ხელოვნება დაეპატრონა. სხვა სოციალური მოტივები თუ ხატავენ ზემოდ დასახელებულ მიდრეკილებას, ეს მკრთალად და შეუმჩნევლად.

მთელი ჩვენი მე XI-XII-XIII საუკუნის ხელოვნება ზემოდ დასახელებულ გზით მიმდინარეობს.

ქრისტიანობა უცხო ერის მიერ არის შექმნილი, მაგრამ არც ერთს ერს იგი ისეთი ოპტიკით არ შეუმკია, როგორც ქართველმა ერმა. ქრისტიანიზმი აზიაში წარმოშობილი ქართველმა ერმა დიონისიანურ კულტურას შეუხამა პირველი განხორციელება სრული კაცთ-მოყვარეობისა პირადი მესი უყურადღებოდ დამტოვებელი, ინდივიდუალობის ხაზიში ქართულ ხელოვნებაში შეეგუა დიონისიანობას. დიონისოს კულტურა, დიონისური სულის მდგომარეობას უაღრესად გამოხატავს ელლინთა სიცოცხლის ინსტიქტის შინაარსს, მის „ნების ყოფას“ სიცოცხლისადმი.

რას განიცდის ელლინი ღმერთის დღესასწაულის პროცესში? მარადის სიცოცხლეს, მარადის მობრუნება სიცოცხლისა, გამარჯვება სიცოცხლის ძალისა სიკვდილისა და ცვალებადობაზე, — აი რას ნიშნავს ელლინისთვის მისი ვნების ღმერთის ცხოვრება. შეუძლებელია უფრო მაღალი სიმბოლოება, ვიდრე დიონისურისა. მასში ჩანერგილია უღრმესი ინსტიქტი სიცოცხლისა, მყოფადი სიცოცხლის, სიცოცხლის მარადისობისა. გზა თვით სიცოცხლისაკენ, დაბადება, როგორც წმინდა გზა მისკენ.

დიონისოს ორგიასტული ფსიქოლოგიაა გამოხატულება სიცოცხლის დასრულებისა, — აი ამ მოძღვრებას მიეკედლა ქართული ხელოვნება და ამავე დროს არც ქრისტეს ეკლის გვირგვინისაგან სისხლიან შუბლს არ აშორებს თვალს. და სწორედ სანამ ჩვენი სოციალური მოძრაობა ანვითარებდა თვის შინაურ დუღილთან ერთად ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, საქართველოს ხელოვნება, ქართული ხელოვნება დასრულებული და მთლიანი იყო, — ამის საერთო პორტრეტი მე XII საუკუნეა ჩვენის ხელოვნების განვითარებაში.

ახლა ვიკითხოთ როგორი იყო ჩვენი ხელოვნება ამ ახლო წარსულში: აკმაყოფილებდა თუ არა იმ მოთხოვნილებას, რომელსაც ხელოვნებისგან ითხოვენ როგორია მისი სოციალურ პოლიტიკური მიზეზები, როგორია ჩვენი დღევანდელ დღის ხელოვნება და როგორი უნდა იქნეს მომავალში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**პ. კეკელია.**

# აღმოსავლეთის მუსიკის გავლენა ქართულ ხელოვნებაზე

უწინ ხშირად შაირ-ლექსებს სიმღერით მოსთქვამდენ. თვით „ვეფხის ტყაოსნის“ ასე მოთქმა დიდიხანი არ არის, რაც დავიწყებულ იქმნა.

ასრევე მუსიკის შემწეობით ვითარდებოდა არამც თუ პოეზია, არამედ რელიგიაც-კი. ამიტომ ვაღიარეთ, რომ სადაც მუსიკაა — იქ პოეზიაც არის.

ჩვენში თავიდანვე დიდი გავლენა ჰქონდა სპარსულ მუსიკას. სპარსელი მგოსნები შესაფერ ნიადაგს პოულობდენ ქართველის ფსიქიკაში. თათრულ ჰანგებს ხშირად ანვითარებდენ რომელიც ჩვენს წინაპრებს ნამღერი გადაქონდათ ქაღალდზე.

ამიტომ მუსიკის გავლენას სპარსული პოეზიის გავლენა მოჰყვა. ეს გავლენა უფრო მეტად ხდებოდა გუშას შეძწეობით.

გუშა შედევრია თასლიბის. სხვანაირად რომ ვსთქვათ ჯერ მღერიან თასლიბს, შემდეგ მოაყოლებენ გუშას. პირველი ცინჯათ და მრავალფეროვანი ვარიაციებით ალაპარაკებს თარს, ხოლო მეორე ადასტურებს თასლიბის ნაამბობს და იწვევს ადამიანში სიმხიარულის ემოციას

ამიტომ გუშა აღვიძებს მოძრაობის გრძნობას და ხშირად გვირგვინდება თამაშით. ამ დროს სილამაზე ჰანგებისა იხატება ადამიანის ტანის რხევის სილამაზეში: თარაქამა, ლეკური, უზუნდარა, ბაღდადური, რანგი, ყველა ეს ითვლება გუშად.

ქართულად გუშას ეძახიან მუხანათს. ამიტომ მასზედ აყოლებულ ლექსზედ ზოგჯერ იტყვიან მუხამბაზის ხმაზედ მღერიანო. რასტი, ბაიათი, სეგა, მაჰურ, — ესენი ნიშნავენ თასლიბს

ქართულ პოეზიის განვითარებაში თასლიფზედ უფრო მეტი როლი ითამაშა გუშამ, რადგან მგოსნები მხოლოდ მასზედ შეჭყობით ახერხებდენ ლექსის მთლიანად შესრულებას. ჩვენმა წინაპრებმა ზოგი გუშა ისე გადაამუშავეს, რომ აღარც-კი წააგავს სპარსულს და ქართულ თავისებურებას შეიცავენ. მაგალითად: „ორთავ თვალის სინათლევ“, „თავო ჩემო“, „ახ მთვარევ, მთვარევ“ და სხ. ამ ნიადაგზე განვითარებულმა სულის მოთხოვნილებამ ჩვენ მოგვცა აშული — მწერლები: საიათნოვა, მგოსნები ალექსანდრე ჭავჭავაძე, ბესიკი: მათი პოეზია არამც-თუ მუსიკალურია, არამედ სიტყვა მხატვრული და ხშირად ფილოსოფიითაც განიზომება.

ასე ჩაისახა და ვითარდებოდა ჩვენს ხელოვნებაზედ სპარსულ პოეზიის გავლენა, მაგრამ ბარათაშვილის, აკაკის და ჭავჭავაძის პოეზიამ დაჩრდილა და უცხო კულტურას დაუქვემდებარა. გრიშაშვილმა მიაგნო მამა-პაპურ კვალს და ნაციონალური ხელოვნებაც მისი ნიჭით სამაგალითოდ დაგვირგვინდა. დღეს გრიშაშვილის პოეზია, რომელსაც თვალსაჩინო ალაგი უჭირავს ჩვენს ხელოვნებაში, არის სახე კულტურულ ჩარჩოებში იმ პოეზიისა, რომელსაც ჩვენში წინად ამყნობდა აღმოსავლეთის მუსიკა. აი, გავლენა ამ მუსიკისა ჩვენს მწერლობაზე.

საჭიროა სამუსიკო კონსერვატორიაში დაეთმოს ალაგი აღმოსავლეთის მუსიკას და ჩვენ მალე გავხდებით მოწამე ქართულ ხელოვნების ნაციონალურათ აღორძინებისა, რაც ყოველ ჩვენთაგანისთვის სასურველ საგანს უნდა შეადგენდეს.

მუშა **მიხა დევაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



გრიგოლ ვეშაპელი—ექვთიმე თაყაიშვილი.

# ჯვარის წერა

აქ დედოფალი აზამბახდა მუშკამბარებით,
ამაყი ნეფეც იმის გვერდით მეტად ჰშვენოდა...
მამა დავითი ახმაურდა ძველი ზარებით...
ძველი სიონი და დიდუბეც მარდათ ჰშველოდა...
დღეს ჯვარს იწერენ—„ჩუმი ნატვრა“ ალსავლის კართან...
თვალს ენატრება მათი მზერა, ვით ქრისტეს კვართის...
ზარები რეკვენ სიძლიერით, ბრძოლა აქვთ ქართან...
და აი, ხუცესს უპასუხეს: „გვსურს ერთმანეთი“...
და დედოფალი გულში მღერის: „გვსურს ერთმანეთი,—
მაგრამ ვაი თუ მოღალატე გამოდგეს ქმარი,
გადამაზამთროს, სხვასთან იყოს მთვრალი სიზმრებით,
მე შემიგინოს—შემილახოს ქართული გვარი...
მაშინ, ისევ ეს ეკლესია, თეთრი ხუცესი
და სამრეკლოზე ჩამობმული შავი ზარები
მიგალობებენ: „სულთათანას“ დათალხულ წესით
და აქეთ-იქით გადასტევენ შმაგი ქარები“..
თავი დახარა დედოფალმა თვალ-ცრემლიანი...
კვლავ სამრეკლოზედ აჟღარუნდნენ ზათქით ზარები,
სევდა მოჰპარეს გვირგვინოსანს ნამცვრებიანი...
გარედ გაგიჟდა დაფა-ზურნა დილის სარებით..
მთვრალი ავროra თეთრად მღერის... და ეკლესია
ნეფე-დედოფალს გუნდრუკს უკმევს, ასალამურებს...
საკმლის ქულებზედ უფურცლავენ გარდაცვლილთ სიას
და მიხაკის ფრად გარს აფრქვევენ ზეფირ-ამურებს...
კვლავ დედოფალი აზამბახდა მუშკამბარებით,
ამაყ ნეფესაც სიამაყე ისევ ჰშვენოდა...
მამა დავითზედ აცისკროვნდენ ძველი ზარები,
ძველი ზარებით სხვა ტაძრებიც გვირგვინს ჰშველოდა...

კ. რატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ნ. ნ. ჩერეპნინი** (შარჟი)
კონსერვატორიის დირექტორი და სახელმწიფო თეატრის ლოტბარი.



სამწერლო მოღვაწეობით 10 წ. შესრულების გამო ამ დღეებში გამოვა მისი ნაწერები ნახაზი ვალიშევსკისა

# მიხაკი

დრამა ერთ მოქმედებად

**უგო ოჟეტტისა** *)

**მომქმედნი პირნი:**

**იდა** — 25 წლისა
**ჯულიო** — 28 „ ამის ქმარი
**ნინა** — 35 „ იდას მული
**სანტინი** — 30 „ ჯულიოს მეგობარი
**ჩეკკო** — 35 „
**ჯიჯი** — 23 „
**კომისარი** და 2 იმისი მოხელე

ორად გაყოფილი ფარდით ოთახი. ფარდაზე ქალის შალები, ქუდი. ფანჯარასთან იდა ქარგით. მაგიდაზე ჭიქაში თაიგული მიხაკისა. ლოგინზე ჯულიო, ფარდის იქით; სძინავს, ჩაცმულია. კედლებზე ჟურნალებიდან ამოჭრილი, ფოტოგრაფიული და წმიდანთა სურათები. ნინა კარტოფილსა ფცქვნის. ბინდია.

I **იდა, ნინა**

**ნინა** ველარასა ვხედავ. უნდა ავანთო.

**იდა** ჯერ ადრეა. მე კარგად ვხედავ.

**ნინა** შენ ემაგისთვის თვალებსაც დაითხრი, მგონი! მე ველარასა ვხედავ. ბნელაში ამ მთვრალთან ყოფნა... მეშინია, სწორე გითხრა.

**იდა** (ხმა დაბლა, გედრებით) ჯულიოს სძინავს, აანთებ და გაალვიძებ.

**ნინა** არ ეყო ძილი? აუფარე რამე.

**იდა** ნავთიც ცოტაღა დაგვრჩა.

**ნინა** როცა აღარ გვექნება, ბნელაში მაშინ ვისხდეთ. (აანთებს ლამპარს და მაგიდაზე სდგამს)

**იდა** ჩემკენ მაინც დასდგამდი.

**ნინა** თავი დაანებე მაგ ქარგას, ვახშმის მომზადება მიშველე. რა დაგაკლდება, რომ ერთხელ მაინც მომეხმარო? ოთხი წელიწადია ჩაგჩიჩინებ, ლამე ნუ საქმობ მეთქი, და მე შენ ვერა გაგაგონე რა.

**იდა** (ადგება ჯულიოსთან მივა) სძინავს. (ისევ ქარგას მიუჯდება).

**ნინა** რომ ელვიძოს, დაჭრილი დათვივით ღრიალს ასტეხს. ჰო, მართლა: ნუ თუ არ გეყო? ნუ თუ ამალამაც მისცემ ფულს, რომ წავიდეს და გამოითროს? რომელ საათზე მობრძანდა ამ დილას?

**იდა** ხუთი დაჰკრა წმ. მარიამის ეკლესიაზე. იცი, რცხვენოდა, ჩემ ოთახში ვერ შემოვიდა და ემანდვე მიწოლილიყო.

**ნინა** და ჩამოვარდნილიყო. სადილი მიირთვა?

**იდა** არა.

**ნინა** მაგას ღვინის მეტი არა უნდა რა. დღეს წყალზე მარიეტი ვნახე და იმან მიამბო,—ქალალდს თამაშობდა თქვენი ვაჟბატონი თავის ამალითაო. ჩეკკო და სანტინი, უკეთესს აბა ვის იპოვიდა?

**იდა** (მხრებს შეიხრის. ფირფიტებით ძაფს ეძებს აგებს და ქარგავს)

**ნინა** ბევრი წააგო?

**იდა** ჯულიომ?

**ნინა** ჯულიომ, მაშ ვინა? რა ვქნა, არ უნდა იცოდე? ხუთი თვეა კაცი უსაქმურადა გდია, ქეიფობს, ლოთობს, და ჩვენ კი თვალებს ვიწყალებთ. შენა გგონია, რასაც შენ აძლევ, იმის მეტს არასა ჰხარჯავს?

**იდა** კმარა, ნინა! ჩემი თუ ქმარია, შენი ხომ ძმაა. შარშან კარგადა მუშაობდა.

---

*) L' oeillet, par Ngo Ojetti. უგო ოჟეტტი იტალიელი მწერალია, სახელოვანი რომანით „მოხუცი", ამერიკულ რესპუბლიკებში თავის მოგზაურობის აღწერით და მწერლობის ახალ მისწრაფებათა კვლევით. დრამა „მიხაკი" ოჟეტტის საუკეთესო თხზულებად ითვლება როგორადაც დრამატიზმისა (იდას როლი), აგრეთვე რომაელ უსაქმურ მუშათა დასურათებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინა** იქნება, მართლა გჯერა? გჯერა რომ მუშაობდა?

**იდა** მჯერა.

**ნინა** ყოჩაღ, ქალო! მე კი არა მჯერა. იცი, რას ამბობენ?

**იდა** არ ვიცი. და არც მინდა ვიცოდე.

**ნინა** კვირაში ხუთი დღე დუქანში ეგდო. თუ ფული ჰქონდა... იცი, როგორა ჰქონდა ი ფული ნაშოვნი?

**იდა** ნინა, მაკმარე. განა რაც წყალზე ჭორები სთქვან, ყველა ჭეშმარიტებად უნდა მიიღო?

**ნინა** ჭორიო? მაშ რადა ჰყავს კომისარს საეჭვოთა სიაში ჩაწერილი?

**იდა** ჯულიო კი არა, სტანინი ჰყავს საეჭვოდ მიჩნეული; იმას უთვალთვალებენ და რადგან ამხანაგები არიან..

**ნინა** (კარტოფილს დუმელზე შესდგამს დაცინვით) ჯიჯი როგორღაა? აღარა მოუწერია რა?

**იდა** დავუშალე, თუ კიდევ მოგიწერია, ნუღარ დამენახვები მეთქი, ვუთხარი. დამპირდა აღარაო. ჯიჯი პატიოსანი ბიჭია.

**ნინა** შენთვის ყველანი პატიოსნები და წმინდანი არიან. საწყალი შენი ჯიჯი.

**იდა** ჩემი?

**ნინა** დიახ, შენი. ტანჯვა ურგუნებია უბედურისთვის ბედის-წერას გუშინ შემხვდა. ბევრი ვუთხარი,—აღარ გაბედო და ჩვენსა აღარ მოხვიდე მეთქი... თუ კაცი უსინდისო გვყავს, ჩვენც უნამუსონი ვგონივართ მეთქი? მაგრამ ვერა გავაგონე რა. თუ გინდა, დაგენაძლევები, ფანჯარაში რომ გავიხედო, მაშინვე იმას დავინახავ (მიკა და გადაიხედავს) აკი ვთქვი! ძაღლიც ამისთანა ერთგული უნდა!

**იდა** (მშვიდად) ჰო და ბრძანდებოდეს. მე სულ სხვა რამ მაფიქრებს.

**ნინა** დარაჯო, ფთხილად! ცუდი ქარი ქრის აქედან! ფთხილად, თორემ ვაი შენი ბრალი! ჩემ ძმას ადვილად აუვარდება ხოლმე თავში სისხლი და ჯიჯი კი მეტად ნაზი კანის პატრონი ბრძანდება. (ფეხ-აკრეფით მივა ჯულიოსთან, პიჯაკს აართმევს და ჯიბეებს უსინჯავს. ამოღებულ ფულს იდას მიუტანს) ორი აბაზი! რამდენი მიეცი წუხელ?

**იდა** (დასცქერის, სთვლის და მღელვარებას ვერ იკავებს) ხუთი მანეთი. მოლოზანმა მომცა, ძაფი იყიდეო. რომ იცოდე, როგორ მაჩქარებენ ამ ომფორის გათავებას. მეკი სულ ჯულიოს მივეცი.

**ნინა** ორი აბაზი! მე დილით საღამომდე ცივ წყალში ვდგევარ და სარეცხით ხელებს ვიმტვრევ, შენ თვალებს იწყალებ და ეგ კი... ეგ ბატონია! ორი აბაზი! (ჯიბეებიდან აცლის ხელსახოცს, ბაწარს, სათამაშო ქაღალდს, ბებუთს) ამას უყურე!

**იდა** (შემინებული) ნუ, ნუ გეთაყვა! დაუმალე სადმე!

**ნინა** გიჟი კი არა ვარ! მაგის ბოლო ციხეა და ნეტავი მალე! ნეტავი მალე! ჩვენზე ბედნიერი აღარავინ იქნება.

**ჯულიო** იდა! რამდენი საათია?

**ნინა** (ჯიბეში უწყობს საჩქაროდ) დედავ ღვთისაო! როგორღა მივუტანო ეს საფერანე?

**იდა** (ადგება, ქარგას ქაღალდს გადააფარებს) საცაა, დარეკავენ.

**ჯულიო** სანტინი არ მოსულა?

**იდა** (ანიშნებს ნინას, მიმალე) არა, არავინ მოსულა. (ნინა უკან მისდევს, ფთხილად დ სდებს ლოგინის ბოლოზე პიჯაკს და მსწრაფად გამობრუნდება).

**ჯულიო** ვინ არის მანდ?

**იდა** ნინა.

**ჯულიო** დღეს არა რეცხავს?

**იდა** დაბრუნდა კიდეც.

**ჯულიო** (ადგება, ამთქნარებს. ნინა ზურგს შეაქცევს და დუმელთან მივა. ჯულიო ირაზით ელაპარაკება თავის დას, ალერსით—იდას. მიხვრა-მოხვრა, კილო—რომაელ მოქალაქე მუქთა-ხორასი) ვახლავარ ქალბატონ ჩემ დას! რა ძალიან იბერები, იქნება სულელი იპოვე ვინმე და გათხოვებას აპირებ! მოიკითხე ჩემ მაგივრად და სამძიმარი მოახსენე. ძლივს, თორემ ქარხლის წნილივით ჩამყაყდებოდი, შე უბედურო! (ხელს მოეხვევა იდას) რამ გაგაყვითლა აგრე? რას აკეთებდი?

**იდა** ვქარგავდი.

**ჯულიო** (ჩუმად) ამაღამ ადრე დავბრუნდები. (ჰკოცნის) ახალი ამბავი გითხრა? გაგახარო? (ნინას) შენ ეი მათუსალემ! შენ კი არ გინდა კარგი ამბავი?

**ნინა** რა, დახრჩობას გპირებენ?

**ჯულიო** დიახ, შენს შემდეგ. დასწყევლა ღმერთმა, ასე რადა მცივა? მოიტა!.. (იდა მირბის ლოგინისკენ და პიჯაკს აცმევს) ბალდადი მქონდა, რა იქნა ი...

**იდა** კამოდში ჩავდე.

**ჯულიო** აქ მოიტანე, ყელზე შემოვიხვევ, ძალიანა მცივა (იდა მარცხენა კარისკენ მიდის) გენაცვა, იდა, რადა ხარ აგრე ფერმიხდილი? ხომ არა მოხდა რა?

**იდა** არაფერი! რა უნდა მომხდარიყო?

**ჯულიო** (ჰკოცნის. იდა მეორე ოთახში გადის. ჯულიო ჯიბეებს ისინჯავს) მაშ სიგარა არსად არის ამ ოხერ სახლში?

**ნინა** არ ვიცოდი, როდის გაიღვიძებდი, თორემ მზად მოკიდებულს დაგახვედრებდი. (მიუახლოვდება, გამძაგებული, ხრინწიანი ხმით) რას ელაქუცები საწყალ ქალს? გინდა ფული გამოსცინცლო განა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესა და ღამეს ასწორებს, თვალის ჩინი დაუკარგა ამ ქარგამ და შენ კი... შენც იტყვი, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო?! ფუ, შენს კაცობას!

**ჟულიო** (ხელის ჰკრავს) ჰა, მოგიარეს? რა იყო, რა მოხდა? ცოტა ხანს წამეძინა, განა?

**ნინა** ნეტავი ისე წაგეძინოს, რომ თვალი ვეღარ გაახილო! დაწვე და აღარ ადგე! შენ ეი... გეყურება? ფული აღარა გვაქვს! რას ჩააცივდი ი საცოდავს? წადი და სხვაგან ითხოვე! ეგ ხელობა ხომ იცი!

**ჟულიო** (ხელს სტაცებს და შეანჯღრევს) გაგიჟდი, თუ რა არის? შენს წერას აუტანიხარ, მგონი. ხომ იცი, მე დარიდებისა არა მწამს რა. უფროსი და ბრძანდება დაა... თუ ავაფრინე ჩემი ოფოფები, აღარც დას დავინდობ და აღარც ძმას! ისე გაგსრესავ, როგორც მატლს.

**ნინა** შენც შეგარცხვინა! შენი...

**ჟულიო** (მოუღერებს) მაშ გინდა? გინდა?

**იდა** (შემოვა) რა იყო? რა არის? კარგით, ერთი! აჰა, შენი ბალდადი.

**ჟულიო** (გაცოფებული, მოშორდება. აწირებს შორის ბანას) თბილი წყალი არსადა გაქვთ?

**ნინა** აქ შენი მოსამსახურე არავინ არის.

**იდა** აი, თბილი წყალი (დუქნიდან აიღებს და მოუტანს)

**ნინა** მეტად ნაზი ბრძანდება, ვაჟბატონი. ცივ წყალს როგორ მიიკარებს?

(ჟულიო პირს იბანს. იდა სუფთა პირსახოცს აწვდის)

**ჟულიო** ჰო, ახალი ამბავი მინდოდა მეთქვა. მერმე რომ იცოდეთ, რა კარგი ამბავია.

**იდა** რა ამბავი!

**ჟულიო** პასკელმა მითხრა...

**იდა** პასკელი ვიღაა?

**ჟულიო** დუქანში შემხვდა. ძალიან მდიდარი კაცია, სოვდაგარია.

**ნინა** დუქანში შეხვდა. დუქანში სულ დიდკაცობა და სოვდაგრები დაიარებიან.

**ჟულიო** მათქმევინებ, თუ არა?! (ბადიადს ყელზე იხვევს)

**ნინა** ბრძანე, ბრძანე, იქნება, მართალი წამოგცდეს რამე.

**იდა** მერმე? მერმე? სთქვი რაღა!

**ჟულიო** ჰო და პასკელი ხსნის აქვე ახლო შეშის საწყობს და ნოქრად მე ვეყოლები. დღეში სამი მანეთი და სადილი.

**ნინა** ღვინითურთ?

**ჟულიო** ღვინოც მექნება და ჩემი ბებერი დის ველის სისინსაც მოვრჩები.

**იდა** (ბედნიერი) სამი მანეთი დღეში! ნეტავი აგრე! მერმე როდის უნდა დაიწყო?

**ჟულიო** ამ ერთ თვეში. საწყობი უკვე იქირავა, გუშინ ხელი მოაწერა. (მახვილს თავაქვეს დაინახავს) ეს ვინ მოგართვათ?

**იდა** ჩემია. გუშინ მოვიტანე. განა არა ნახე?

**ჟულიო** ჰო და ვინ გიძღვნა?

**იდა** აკი გითხარ. გუშინ მონასტერში ვიყავი, ქარგისთვის ოქრომკედი დამაკლდა, და იქ მომცეს.

**ჟულიო** მაშ მონოზნები ლამაზ ქალებს ყვავილებს სთავაზობენ? ჰოო? აგრე იყოს. იმას ვამბობდი: მთელი საწყობი მე მებარება... შეშის მიღება, გაყიდვა, დახლი (თან ჯიბეებს იჩხრიკავს) იდა, იქნება ერთი სიგარა გქონდეს სადმე?

**იდა** არა, ღმერთმანი.

**ჟულიო** ემანდ მიირბინე, ნინა, ჩვენს პირდაპირ და ერთი აბაზის სიგარები მიყიდე.

**ნინა** (არც კი მობრუნდება) მე ვახშამს ვამზადებ.

**ჟულიო** (წამოვარდება, მუქარით) შენ ეი! აბა, ჩქარა! სიგარები მეთქი! არ გესმის?!

**ნინა** შენ თითონაც კარგად წახვალ.

**ჟულიო** მე ჩაცმული არა ვარ.

**ნინა** იდა გაგზავნე.

**იდა** (ჟულიოს უკანა დგას და ნინას ანიშნებს, ქუჩაში ჯიჯი დგას და არ მინდა შეგხვდეო)

**ნინა** (ვითომ ვერ მიხვდა) ფეხსაც არ მოვიცვლი

**ჟულიო** (მუქარით) წამოისხი შენი შალი და გასწი!

**ნინა** (მაგიდას დაეყრდნობა ჯიბრით) არა, მეთქი. გეყურება, არ მინდა და არ წავალ. რა გაყვირებს, ნეტავი ვიცოდე? მე შენი მოახლე არა ვარ. თუ იდა იმდენად სულელია, რომ შენს ბრძანებას ემორჩილება, მიბრძანდეს, გზა მშვიდობისა.

**იდა** (აქამდე თავის მეტს ანიშნებდა, დამშვიდდით მალის იდეთ) მე წავალ, მე წავალ, ოღონდ, ღვთის გულისთვის, აგრე ნუ ყვირით. რას იტყვიან მეზობლები? ეხლავ აქა ვარ.

**ჟულიო** (ალერსით შესცქერის) ანგელოზი ხარ, ჩემო იდა, ანგელოზი. (ჯიბეებს იჩხრიკავს) ბიჭო! ორი აბაზი! აჰა, სიგარისთვის.

**იდა** რა საჭიროა, მე გიყიდი. ეგ შენა გქონდეს.

**ჟულიო** არა, არა! სიგარის ფული შენ მიგაცემინო?! ჩემი ფულით მიყიდე.

**ნინა** ჰო და რა? თავის ფულით უყიდე. შრომით მონაგარი ფულით.

II **ნინა, ჟულიო**

(**ჟულიო** ჩუმად ზის მაგიდასთან, **ნინა** ვახშამს ამზადებს)

**ჟულიო** ვახშმად რა გვაქვს?

**ნინა** კარტოფილი, სალადი და გუშინდელი ხორცი.

**ჟულიო** კაი მოგივათ! (ადგება გაბრაზებული და ფანჯარასთან მიდის. ნინა თვალს ადევნებს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინა** ჯულიო...

**ჯულიო** (ჯერ გარეთ არ იყურება) რაო?

**ნინა** (არ იცის, რა უთხრას) ე ლოგინს მაინც დაალაგებდი.

**ჯულიო** ეხლავ, ეხლავ, ჯერ პური ვჭამოთ. (ფანჯარიდან იყურება. თითქო რაღაცა შენიშნაო, ფანჯარას აღებს და გადაიხრება. ნინა შეწუხებული შესცქერის, მერმე უცბათ გამობრუნდება და ისევ ვახშმის მზადებას შეუდგება)

**ნინა** (მშვიდად) რას უყურებდი?

**ჯულიო** (თვალს თვალში გაუყრის, ცდილობს მღელვარება არ ეტყობოდეს) არაფერს, ფანჯარა გავაღე, ჰაერი ჩავყლაპე.

**ნინა** ჰაერი ყლაპე, მაგრამ სახლს ნუ აცივებ. მიხურე ფანჯარა. სიცივე წყალზედაც მეყოფა. (პაუზა)

**ჯულიო** (დგას, თვალს არ აშორებს. ნინა ფუსფუსებს) გაათავებ თუ არა?!

**ნინა** აჰა, მზად არის.

**ჯულიო** მართალი მითხარ. დღეს აქ იყო ვინმე, მანამ მე მეძინა?

**ნინა** არავინ.

**ჯულიო** რა იცი? შენ არა სთქვი, მთელი დღე წყალზე ვიყავიო?

**ნინა** ის ვიცი, რაც იდამ მითხრა.

**ჯულიო** ჰოო?

III **იდა ჯულიო ნინა**

**იდა** რა ცივა! ღმერთო, რა ცივა! ეგეც შენი სიგარები. ოთხი მოგიტანე. თითონ ამოგირჩიე. აბა, გასინჯე, კარგებია? (მიაწვდის ქაღალდში გახვეულ სიგარებს)

**ნინა** (კარტოფილს აზავებს)

**ჯულიო** (გამოართმევს) და რომ არ ვარგოდეს, უკან წაიღებ?

**იდა** ეხლავე. მაგ პირობით გამოვართვი.

**ჯულიო** (გაბრაზებით ჩაიდებს ჯიბეში გაუსინჯავად) საგანგებო სიგარებია, უკეთესი არ შეიძლება. (დააშტერდება)

**იდა** (იდა შალს მოიხსნის, სუფრისკენ მიდის) მოდით, დასხედით! არა გშიათ?

**ჯულიო** ვისაც ჰშია, მიირთვას; მე კი არა მინდა რა.

**იდა** (შეამჩნევს მღელვარებას) რა მოგივიდა? (დასხდებიან. ნინა მიაწვდის კარტოფილს ჯულიოს; ის არ აიღებს და იდას მიაწვდის. ქალები სჭამენ)

**იდა** კარტოფილი ხომ გიყვარს, რატომ არ აიღებ?

**ჯულიო** აღარა მშია. შენ რას იტყვი, ნინა?

**ნინა** რაზედ?

**ჯულიო** იმაზე, რომ აღარა მშია! პასუხი მაინც გამე, შე აშარო! არც იდასა ჰშია! ისე გაჩუმებულხართ ორივენი, თითქო, აკლდამაში დასვენებული მკვდრები იყვეთო.

**ნინა** (მხრებს აიწევს და დუმელთან მიდის ხორცის მოსატანად. ზარი)

**ივ. მაჭავარიანი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



**მსახიობი პ. ფრანგიშვილი**

ავჭალის აუდიტორიის სცენის-მოყვარეთა წრის რეჟისორად მიწვევის გამო

# თავისი გაჰყავთ!

(საარაკო ხუმრობა)

თბილისში მიწის ძვრა რომ დაიწყო, ღამის სამ საათზე, ერთბაშათ გამომეღვიძა. მაშინათვე მივხვდი, რომ მიწის-ძვრა იყო. იმ წამსვე ტახტის ქვეშ შევძვერი, წინიდან ავიფარე: ძველი ფლოსტები, ფალასები, კალათი, თუნუქა, და სხვა რაღაცები, — ასე რომ ნამდვილი „აკოფი" გავიმართე, რის საშუალებითაც გადავრჩი მშვიდობიანად ჩემი მეზობლები კი გარეთ გაცვივდნენ იმ სიცივე-თოვლში. მოკითხვის დროს მეც მოვგონებივარ. ამოვიდნენ და გარედან მიძახდნენ, მაგრამ მე გავტვრინდი პანტა-გამაძღარი დათვივით ორმოში. პასუხი რო არ მიიღეს, როგორღაც კარი გააღეს, ძალით ტახტქვეშიდან გამომაძვრინეს, თინაც იცინოდნენ: ეგონათ, მითომ შეშინდაო. სრულებითაც არა! ვერც კი წარმომიდგენია რა არის შიში, გეფიცებით ჩემს ისეთ დამწვარ პატიოსნებას, როგორც ეფინჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა. ვიფიქრე, მიზეზი ჩქარაც გამოვიკვლიე: რათ იძრა მიწა? — რადგან ტროცკის უკანასკნელი ნოტა ჩვენებმა არ მიიღეს, ამისათვის ჰაეროპლანით აბრამა ურიას გაგზავნიდა მიწის კატასთან და მისწერდა: ვინაიდან საქართველოში ბალშევიზმი ვერას გზით ვერ გაიყვანეს, ამისათვის სთხოვდა დახმარებას თანახმათ მათი პროგრამისა, საცა იძახის: „ჯერ სუყველაფერი უნდა მოისპოს, შემდეგ მასზე ახალი აშენდეს". კატამაც თანაუგრძნო და მოახდინა მიწის ძვრა. ამის მიზეზით თბილისის იარმუკაში დააპატიმრეს ბალშევიკების ლიდერები — მეთევზე თომა გოგინოვი, მიკიტანი გიგა მირინაშვილი და ყასაბი სოსო ტურაშვილი. ასე რომ ჩემის გამოკვლევით მე არა ვარ შემცდარი, როგორც ნასწავლი კაცი, რომელიც ხუთი წელი სასწავლებელში დავიარებოდი ერთსა და იმავე დასაწყის განყოფილებაში, ერთსა და იმავე მაგიდაზე ვიჯექი. ხუთი წლის შემდეგ გამომრიცხეს და დიპლომით გამომისტუმრეს, რომელსაც ხშირად ვხმარობ დეზერტირების ბაზარში. მეორე დღეს წაველი სამსახურში. 9 — 18 მომრიგებელ-მოსამართლის კამერასთან რომ მიველი, ყველა ჩემს ამხანაგს ქალიან-კაციანად თან მოეტანათ და წამოესხათ საბნები, ნაალები, ხალიჩები, ერთს კუშეტკაც-კი. ვიკითხე მიზეზი გარეთ ყოფნისა, მათ ამიხსნეს: მეტის-მეტი სიცხეა ოთახებში და მეორეთ მიწის ძვრის ლოდინიო... ეს ამბავი რომ გავიგე, იმ წამსვე შინისკენ დავიძირი, სადაც შვიდობიანად მივედი.

**წითელ-რაზმელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მიხეილ ლაშქარაშვილი**

(გვარდიის შტაბის რწმუნებული, გორის მაზრაში ანარქიის ჩასაქრობად დანიშნული.)

მცარცველი, ავაზაკი, მატყუარა, გაიძვერა და მრავალი უპასუხისმგებლო პირი ნიკოლოზის რეჟიმმა რომ გვიანდერძა,—უტყუარი ფაქტია. ამ პარაზიტებს კარგა ხანია, რაც ჩვენი რესპუბლიკა ებრძვის და, შეძლებისა დაგვარად, მათ სინსილას აქრობს.

მიხეილ ლაშქარაშვილი ის რევოლიუციონერია, რომელიც რკინისებურ შეუდრეკელი სიმტკიცით ებრძვის ამ პარაზიტებს. ჯერ კიდევ ცხრაას შვიდში, როცა მკვლელობა უმწვერვალეს წერტილს აღწევდა, ხალხი შიშის ზარს მოეცვა და ნიკოლოზის მთავრობა თვითონ უწყობდა ხელს შანტაჟისტებს, რევოლიუციონერებს კი სასამართლოთი უმასპინძლდებოდა,—ლაშქარაშვილი არავითარ წინააღმდეგობას არ შეუშინდა, თავისით გამოვიდა და გმირულად შეება სამოცი კაცისგან შემდგარ ბრბოს: სამი მათგანი საჯაროდ დახვრიტა, მათი ბრბოები სამუდამოდ მოსპო და ამნაირად დაიფარა ხალხი მათი ძალადობისგან.

საყურადღებოა ის მოვლენა, რომ იმ დროს ბევრმა მებრძოლმა მისმა ამხანაგმა გვიბრუნა პირი და ფულის გამოტყუებას მიჰყო ხელი. ლაშქარაშვილი იმ თავითვე მტკიცედ იცავდა რევოლიუციონურ პრინციპებს და ერთხელაც არ უღალატნია მისთვის. ეს იცოდა ნაძალადევის დემოკრატიამ და ამიტომ ლაშქარაშვილი შარშან ახალქალაქის რაიონში ანარქიის წინააღმდეგ იქმნა დანიშნული, სადაც წესიერების დამყარების შემდეგ ხალხის თხოვნით იქვე დარჩა კომისარად. ყველა ეს დავალება ლაშქარაშვილმა სახელოვანად შეასრულა. მრავალ ძალადობას, ყაჩაღობას ბოლო მოუღო და მით წესიერება დაამყარა. მისი ეს საქმიანობა არ დარჩა უყურადღებოდ. ამიტომ იგი კვლავ დაინიშნა გორის მაზრაში ანარქიის წინააღმდეგ. აქ ხალხში დიდი სახელი დაიმსახურა. მისი საქმიანობა ჩვენს გაზეთებში ბევრჯერ იყო აღნიშნული. ბევრჯერ გაუხარებია მკითხველის გული. დიახ ლაშქარაშვილი მემარჯვენეს და მემარცხენეს ერთნაირად უმორჩილებდა კანონს, ყველასაგან—თავადის, ვაჭრის თუ პარტიულისგან — ერთნაირად მოითხოვდა კანონიერების დაცვას და ასე გამოდიოდა რესპუბლიკის ჭეშმარიტი დამცველი. ამიტომ მას ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა. მათი აზრით ლაშქარაშვილი ვითომც თავად-აზნაურობას ემხრობოდა, რისთვისაც მას პარტიიდან გარიცხვაც კი მოუნდომეს.

ნაძალადევის მთელმა დემოკრატიამ იცის ლაშქარაშვილის პირდაპირი და მოუსყიდველი ნების თვისებები, და ამიტომ სრული ნდობით უყურებს მას. ჩვენც, ჩვენის მხრით ვუსურვებთ ამ რესპუბლიკის მტკიცე დამცველს დღეგრძელობასა და გამარჯვებას. **მეთვალყურე**

# გორის ამბავი

ღამეა. ცივა. ქარი სისინებს,
თოვლი ეხურვის საბნად მიდამოს;
დუხჭირ ცხოვრებით დღით მოქანცული
ძილს მისცემია ხალხი საამოს.

თამარის ციხე ამაყადა სდგას,
უხსოვარ დროიდგან სდარაჯობ გორსა;
ღამით გორიჯვარს ესაუბრება,
თან იყურება ყოველმხრივ შორსა.

მოულოდნელად ცა მოპირქუშდა,
ბნელმა მოიცვა მთლად არე-მარე;
ჯოჯოხეთური ცეცხლი დაანთო;
დაატრიალა ამბავი მწარე.

ელვის სისწრაფით შეინძრა მიწა,
პირუტყვი ბღავის, ხალხი ტრიალებს;
იმსხვრევა ყველა, ინგრევა მთები
და დედამიწაც ქუხს და გრიალებს!..

ისმის ქვითინი გულშემზარი:
— ვაიმე შვილო, ვაიმე დედა,
ნეტავი იმას, ვინც ეს ვერ ნახა,
ვისაც არ აწევს გულზე მის სევდა.

„შვილი დავკარგე, დედა დავკარგე,
ნანგრევებს მოჰყვა მთელი ოჯახი",
ისმოდა ყველგან მომაკვდავთ კვნესა,
შეიქნა ყველგან ვაი-ვაგლახი!..

ნაჭუჭად იქცა თამარის ციხე,
დაინგრა მთები და გორიჯვარი;
ნეტა არს ვინმე რომ ეს იხილოს
და არ ეწვიოს მწარ ფიქრთა ჯარი?!

და აი საზარი სურათის შემდეგ
დადუმდა ენა, დაობლდა სული;
გული მიკვნესის და, ვით შეშლილი,
თვალ ქუჩაში ცრემლ-მორეული.

ისმინეთ ხალხნო ხმა მოწოდების
და გაუწოდეთ დაღუპულთ ხელი,
რომ აღვადგინოთ ქალაქი გორი,
ქართლს კვლავ ეყოლოს ერთგული მცველი!..

**ზ. ზემოხანდაკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო მომღერალ-მგალობელთა შესახებ

ვინ არ იცის, რა ღვაწლი მიუძღვით ერისადა ეკლესიის წინაშე სახ. მომღ.-მგალობლებს. მხოლოდ მათი მეშვეობით ინახებოდა სახალხო კილო და, თუმცა, შემდეგ იგი ყოველმხრივ მიივიწყეს, მაინც მისი მუშაკნი, მიუხედავად ყოველგვარ გაჭირვებისა და დაუფასებლობისა, ერთგულად ეწევიან შრომას. ჯერ კიდევ რუსის მთავრობის დროს, როდესაც სდევნიდნენ ქართულ წირვა გალობას, სახელმწიფო ხარჯით ინახებოდა რუსის მგალობელთა გუნდები, დათმობილი ჰქონდათ მთავარი ადგილი მეტადრე რაიმე დღესასწაულის დროს და სწორედ ამ დროს სამი-ოთხი ქართველი მგალობელი დიდის თხოვნით მიმართავდა რუს ლოტბარს, რათა მას ნება დაერთო რამდენიმე მუხლის ქართულ ენაზე შესრულებისა. რა თქმა უნდა, აუწერელია ის გრძნობა, რასაც იმ დროს — რუსულ წირვის დროს — ქართველი საზოგადოება ისმენდა თავის ენაზე რამდენიმე საგალობელს.

აი, სწორედ ამ დროს არსდებოდა ქარ. მომღ.-მგალ. გუნდები თითო-ოროლა ლოტბარის ხელმძღვანელობით, რომლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ როგორც ფულის, ისე უბინაობის მხრივაც. არ ჰქონდათ სახსარი მოეწვიათ ხალხური სიმღერის კარგი მცოდნენი და შემსრულებელნი. მრავალი საუკეთესო ხმა და სიმღერა უპატრონობით მიტოვებული იყო.

სამწუხაროდ ეს პირობები დღესაც არ გაუმჯობესებულა. დღესაც ისევე არიან დაქსაქსულები, როგორც აქამდე იყვნენ. შეიძლება ამიტომ არიან უყურადღებოდ მიტოვებულნი, რომ, ალბად ჰგონიათ, სახალხო მომღ.-მგალობელთა დანიშნულება არას წარმოადგენსო. მაგრამ ეს დიდი შემცდარი აზრია.

შესაძლებელია, პირველი დანაშაული თვით სახალხო მომღერლებსაც მიუძღვით. თითქმის ყველა დარგის ხელოვანთ მსახიობთ, მუსიკოსთ, წერალთ და სხვ. აქვთ თავიანთი კავშირი, სადაც შეუძლიათ თავიანთი ჭირვარამი ერთი მეორეს გაუზიარონ. მაგრამ სახალხო მომღერლებმა ვერ იქმნა და ვერ ეღირსათ ერთად შეკავშირება. გრძნობდნენ აშკარად, რომ ყოველი მათგანი დიდ გაჭირვებას განიცდის ცალკე მუშაობით, და მიუხედავად ამისა, ოდნავაც არ ცდილან საქმის გაუმჯობესებაზე. შეიძლება ითქვას, რომ უფრო შურია გამეფებული მათ შორის, ნაცვლად მეგობრულ განწყობილებისა. მაგრამ ეტყობა უკვე იცვლება პირობები. ნამდვილად ვიცი, რომ სწარმოებს მოლაპარაკება წმ. სახალხო მომღერალ მგალობელთა საზოგადოების დაარსებისა. რა თქმა უნდა ყოველი ქართველი კაცი სიხარულით უნდა შეეგებოს ამ საქმეს. ვისურვოთ, რომ თვით მომღ.-ლოტბარებსაც პირადი ინტერესები დაევიწყებინოთ და დროით შეერთებულიყვნენ ერთ ჭერ-ქვეშ.

სახ. მომღ.-მგალობელთა გუნდის ლოტბარი **ა. მაისურაძე.**



**გალაკტიონ ტაბიძის** საღამო მარტ. 3 სახელმწიფო თეატრში ქართველ რჩეულ მგოსან-მწერალთ ალბუმი იყო. აქ გამოვიდნენ ივ. გომართელი თავის ქართველურ-არაკულ მიმოხილვით (გ. ტაბიძის დახასიათება), რომელმაც სიტყვა მოწოდებით დააბოლოვა: გ. ტაბიძის შხამით სავსე თასი ჩ მოვართვათ და ტკბილ ნექტარით შევუცვალოთ... არა გვგონია, მგოსანს თუ შხამ-ნაღვლით სავსე თასი ჩამოვართვით, მისი შემოქმედება კვლავ საყოველთაოდ ფხიან-მიმზიდველი იყოს საკუთ. ლექსები წაიკითხეს დ. მეგრელმა., ვ. რუხაძემ გ. ქუჩიშვილმა, ი. გრიშაშვილმა თავგუნამ, რუსის მგოსანმა (თარგ. გ. ტაბიძის და ნ. შენგელაიას ლექსების), კ. მაყაშვილმა და გ. ტაბიძემ. ყველა მონაწილეს დამსწრე საზოგადოება ტაშით აჯილდოვებდა. განსაკუთრებით გულმხურვალედ შეხვდნენ გ. ქუჩიშვილს (მშვენიერია მისი ლეგენდა „ჯაჭვის მონასტერი"), ი. გრიშაშვილს და თავგუნას, რომელმაც საუცხოო სიოხუნჯო ნაწარმოები წაიკითხა სადღეისო კითხვებზე. განსაკუთრებითი ალტაცება გამოიწვია მისმა სპეკულიაციის და მიწის ძვრის ამბებმა. ბოლოს დასდგეს ოპ. „ბატერფლეი" და ბალეტი „კავალრები". ამ უკანასკნელთა დადგმას სჯობდა მშობლიური რამ შეერჩივნა საღამოს მეთაურს. თეატრი თითქმის სავსე იყო და ახალგაზდა მგოსანს გულთბილად შეხვდენ.

**წ—რი**

---

**საარტისტო თეატრში** შეფარებულ მსახიობთ თითქოს ალთქმა დაუდვიათ, თეატრის მოყვარული ქართველი საზოგადოება თეატრზე გავაორგულოთო. ასე იყო მარტის 3-საც. თუმცა სახელმოხვეჭილი მსახიობნი არდგენდენ სახელმოხვეჭილი პიესას „სამეგრელოს მთავარ ლევანს" მაინც სათანადო ლაზათით ვერ დასდგეს ეს პიესა. სხვა არა იყოს-რა, თავისი დამსახურებისა უნდა ეკრძალებოდეთ პატივცემულ მსახიობთ: თითქოს არც გრძნობა, არც განცდა, არც... რომელი ერთი ვსთქვათ. ხალხი ბლომად დაიარება, მით უმეტეს საჭიროა საზოგადოების წინაშე მომზადებით წარდგომა.

**კენტი**

---

**სახალხო სახლის** მრევლს ველარც კი იცნობთ: ომიანობამ, სხვადასხვა ორგანიზაციამ და სხ. მთელი თბილისის დემოკრატია დაჰფანტა და, მიუხედავად ამისა, სახალხო თეატრის დარბაზი მაინც ხალხით ივსება, სრულიად ახალგაზდა მოზარდი თაობით: აქ შეხვდებით მუშებს, ჯარისკაცებს, მოწაფეებს, მოხელე-ნოქართ და სხ. ესენი აქ ეწაფებიან ხელოვნების წყაროს და ბევრს მათგანს წარმოდგენაც კი არა აქვს თეატრის მნიშვნელობა-დანიშნულებაზე. ამიტომ ურიგო არ იქნება სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობამ ყოველი წარმოდგენის დაწყებამდე მოკლე განმარტებითი სიტყვა წაუმძღვაროს ხოლმე საერთოდ ხელოვნების მნიშვნელობის და კერძოდ თეატრის და მიმდინარე წარმოდგენის შესახებ. ბევრი დამსწრეთაგანი დღესაც სათეატრო დარბაზში ხეპრედ იქცევა: არც ქუდის მოხდა, არც სათანადო წესიერება... ამას ყურადღების მიქცევა უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერ. 28 წრემ ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა „მალარის უფროსი მუშა“, გოცირიძის თარგმანი, და ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავ!“ თუმცა პიესა ნაუცბათევად დაიდგა (მანშიაშვილის ავადმყოფობის გამო „ყაჩაღები“ გადაიდო) და შიგადაშიგ რეპლიკებს რევდენ, მაინც ცაგარლის ბუნებრივმა იუმორმა, სხარტულა სიტყვაობამ, მშვენიერმა ანსამბლმა წარმოდგენისა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ელ. ჩერქეზიშვილმა (კატინე და ოროსმე), ნ. გოცირიძემ (ავეტიკა; (არტემ ივანიჩი), კ. ხახანაშვილმა (გიქუა), სოსო რომანიშვილმა, (სოსანა) ი. მინდიაშვილმა (დავით ჯამბარაშვილი) და სხ. ერთსულოვანის ასრულებით დიდი სიხალისე—სიცოცხლე შეიტანეს წარმოდგენაში. საუცხოო იყო ს. რომანიშვილის და ნინონის მუნჯი სცენა ცეკვის დროს, ელ. ჩერქეზიშვილისა და ნ. გოცირიძის სახის მეტყველებით და ხმით შეხმატკბილებული თამაში. მათ მხრის დამამშვენებელნი იყვნენ რ. სალაყაია, ივერელი, მარგველაშვილი და თავდგირიძე. ახალგაზდა ვ. ბაზლაძე ბუნებრიობას არ უნდა გადასცდეს. სოფლელ გოგოების გამპიროვნებელთ თავისებურება შეიტანეს პირველ მოქმედებაში, თუმცა ცოტა გადაამლაშეს. წარმოდგენა დასდგა ნ. გოცირიძემ და შიგადაშიგ ბევრი თავისებური ელფერი შეიტანი. საჭიროა შრომის უნარის გაორკეცება ახალი პიესების დასადგმელად.

**უსავანო**

---

**ქ ახალციხის** საკრებულოს დარბაზში თებერ. 15-ს დ. კლდიაშვილის 30 წ. სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად მაზრის ერობის გამგეობამ საზეიმო საღამო გამართა: თუმცა საღამოს დაწყება გამოცხადებული იყო 8 ს., მაგრამ ეს არ მოხდა მღ. ბ. კანდელაკის მოწოდებით ძლივს 11 ს. დაიწყო საერთო დარბაზში, რადგან სასცენო დარბაზში ძაან ციოდა. არ. ავალიშვილმა წაიკითხა მოხსენება დ. კლდიაშვილის ბიოგრაფიის და მისი შემოქმედების შესახებ. მეორე განყ. წარმოდგენა „დარისპანის გასაჭირი“ არ შესდგა სცენის მოყვარეთა „ავადმყოფობის“ გამო... მესამე განყ. ი ტომაშევიჩმა შეასრულა „მხოლოდ შენ ერთს“ და სხ. ასე დასრულდა სამი განყოფილება.

ვისაც „გეგეჩკორკები„ და „ჟორდანიანკები“ ჯიბეში ბლომათ ჰქონდა, სმას, ვახშამს მიჰყო ხელი.

დასასრულ არ შემიძლია გულის წყრომით არ აღვნიშნო შემდეგი დეფექტები: აფიშებს აკრობენ ხოლმე იმ დღეს, რა დღესაც დანიშნულია წარმოდგენა და ისიც თითქმის ერთს უმთავრესს 26-ს მაისის (ყოფ. ალექსანდრეს) ქუჩაზე.

საჭიროა აფიშები გაიკრას ორი-სამი დღით ადრე ყველა უმთავრეს ქუჩებში და აგრეთვე ქალაქის ძველს ნაწილში სადაც მხოლოდ ქართველობა ცხოვრობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სულ მცირე ნაწილს გამოქცეულ და დასახლებულ ბერძნებისას. დიდათ საჭირო იყო,

ამ საღამოს ფართო ხასიათი მისცემოდა, სომხურ თათრულ ენებზეც ყოფილიყო რამ, როგორც 26-ს იანვარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სასცენო დარბაზში ძაან ციოდა, ვინაიდან აგერ ორ კვირაზე მეტია წარმოდგენა აღარ ყოფილა და სასცენო დარბაზიც არ გაუთბიათ. ნუ თუ მოთავეებს არ შეეძლოთ ერთი დღით ადრე კარგათ დაენთოთ ღუმელები და დაეთბოთ სასც. დარბაზი?! რაღა ამ ღამეს გახდნენ „ავათ“ სცენის მოყვარენი?!. საერთოდ საღამომ ძაან უფერულად ჩაიარა, ხალხიც ნაკლებათ დაესწრო...

საღამოს გამგეებს ნაკისრი საქმე პირნათლად უნდა შეესრულებინათ და თუ ამის უნარი არ შესწევთ, არც უნდა იკისრონ. მომავალში მაინც მიაქციონ ყურადღება რათა ამ ნაირი დამახინჯებული საღამო აღარ განმეორდეს და აგრეთვე არ შეურაცჰყონ ხოლმე საზოგადო მოღვაწის და მწერლის სახელი.

**მესხი პავლე გურგენიძე**

# ბიბლიოგრაფია

**მელაკუდა, წერო და მამლაყინწა, მასხარა წრუწუნები, მელია და წერო.** საყმაწვილო წიგნაკი გადმოკეთებული დ. დონდუას მიერ. საბავშო ლიტერატურას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის საქმეში. ეს ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს ბავშვთა სულიერ მოთხოვნილებას და კიდეც აკმაყოფილებდეს მას... ჩვენ გვაქვს რამდენიმე საბავშო ჟურნალი, რომელიც ემსახურება სწორედ ამ მიზანს, მაგრამ ცალკე საბავშვო გამოცემანიც საჭიროა. და ამ საქმეში უკვე დაწყებულა მუშაობა. მადლობის ღირსნი არიან დ. დონდუა და ს. ჯაფარიძე, რომელნიც სათავეში ჩასდგომიან ამ მნიშვნელოვან საქმეს. მათ გამოცემული აქვთ უკვე რამდენიმე საბავშვო წიგნაკი, ბავშვთათვის შესაფერი და მათი ენით დაწერილი. ზემო აღნიშნული წიგნაკი ერთ ამ გამოცემათაგანია რომელიც ცხოველთა ცხოვრებიდან არის ამოღებული. ვუსურვოთ ამ საქმის მეთაურებს წარმატება. წიგნაკი ღირს 5 მანეთად გამოცემა ალ. არაბიძისა და ამხ. ექუთვნის.

**ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი დ. უზნაძისა.** ბ-ნი უზნაძეს სახელმძღვანელო ნამ[illegible]ლი განძია ქართულ სახელმძღვანელოთა სა[illegible]რიში. ავტორს ეტყობა დიდი გამჭრიახობა და გამოცდილება საპედაგოგიო საქმეში. მისი წიგნი საუცხოვოდ არის შედგენილი: თვითეული ეპოქა და ისტორიული მოვლენა დალაგებით და ნათლად არის გადმოცემული საჭიროა სხვა შემდგენელებმაც მიჰბაძონ მას ამ საქმეში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დ. უზნაძის სახელმძღვანელო შეიქმნება მაგალითად და ნიმუშად სხვა სახელმძღვანელოთა ავტორთათვ ს. წიგნის ტეხნიკური მხარეც ზედ მიწევნით დაცულია. მოთავსებულია მრავალი სურათი და ღირს 30 მანეთად.

**ქართული მოკლე გრამატიკა,** შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული და არც გამოქვეყნებული ქართული ენის ვრცელი და ყველასათვის საერთო გრამატიკა. ქართული გრამატიკები ბევრი მოგვეპოვება, მაგრამ ყოველივე მათგანს თავისებურება ეტყობა. ყველა სწერს გრამატიკულ წესებს ისე როგორც მოესურვება და არ არის ისეთი შეთანხმებული და ყველასათვის მისაღები გრამატიკა.—

ბ-ნ ნიკოლაიშვილის გრამატიკაც სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის, მხოლოდ ერთი ნაკლით: მისი ნაკლი „სიმოკლეა“. საჭიროა ვრცელი და ნამდვილი ქართული გრამატიკა. ეს გრამატიკა დაბალ კლასებში სახმარებლად პირველ დაწყებითი გრამატიკის გასაცნობად კარგია. გამოცემულია ალ. არაბიძის და ამხ. და ღირს 8 მანეთად.

**ამი**



რევაზ (რეზო) გაბაშვილი.

# წვრილი ამბები.

**შალვა დადიანის** წარმოდგენა დანიშნულია სა არტისტო თეატრში, ოთხშაბათს მარტის 10-სათვის. წარმოდგენილ იქნება ორი ახალი პიესა: „გეგეჩკორი“ შალვა დადიანისა და „ორი ძმა“ დ. ჭიაურიშვილისა აჭარელთ ცხოვრებიდან.

**საგარეჯოს დრამ. საზ-ს** გამგეობაში აირჩიეს ნიკ. ქურდოვანიძე (თავმჯ.), დ. ვ. გვილავა (მისი ამხ.) დარუსია ივ. მაისურაძე (მდივანი), ელ. ვოდერძიშვილის ასული, იაკ. აზარაშვილი, იაკობ ანუაშვილი და რომ. ძიძიგური.

**იბეჭდება და მოკლე ხანში** გასასყიდათ გამოვა პროფესორ ივ. ბერიტაშვილის სახელმძღვანელო „ცხოველთა ფიზიოლოგია“. 1 ტომი. გამოცემა თბილ. უნივერსიტეტისა

**მივიღეთ** ახალი გამოცემანი: 1) „ტყის ძმები“, მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან, ა. ქუქისპირელის, გამოცემა „განათლება“-სი, დიდი ფორმატის, ფ. 40 მ.; 2) ტრ. რამიშვილის ახალი კომედია „სტუმარ-მასპინძლობა“, მშვენიერი გამოცემა, ფ. 25 მან; 3) „პარნასი“ სალიტერატურო კრებული, № 1, საუცხოო გამოცემა შალვა მეფანდურის რედაქტორობით, ფ. 20 მ.; 4) რუსული წიგნი ყარიბისა „წითელი წიგნი“ („Красная книга“, Карибн'), გამოცემა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, 260 გვ. ფ. 100 მ.—დაწვრილებით შემდეგ; 5) „ტფილისი“, სალიტერატურო ჟურნალი, № 1.

**ბელეტრისტი მელანია** (სურათი იხილეთ პირველ გვერდზე) დამსახურებულ მწერალი, დამწერი მოთხრობათა „ზნელი“-სი „ნავარდობა-“სი, „კრიალოსანი“ს, „ლადიკო“-სი. „ქედნის ლულუნი“ ს, „პრიგავორის მღვდელი“-ს და მრ. სხვათ. მწერლობა დაიწყო 1881 წლიდან. 1882 წ. დაბეჭდა „რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი?“ მისი ნაწერები ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული: თითქმის 40 წ მწერლობს და რეალისტურ სკოლის ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. მისი ნაწერები წ. კ. ს. მოკლე ხანში გამოსცემს.

**სახალხო თეატრის** მოღვაწის სოფ. რომანიშვილის 20 წ. მოღვაწეობის შესრულების აღსანიშნავად მოკლე ხანში სახ. სახლში საღამო გაიმართება.

**ბათომის საქალაქო არჩევნებში** ქართველთ სიამ (№ 1) გაიმარჯვა.

**ირაკლი ბოხუამ** დასწერა ახალი ორიგინალური სახუმარო ვოდევილი 1 მოქ. „ბალშევიკი“. დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

**ნოე ჟორდანიას** სრულ თხზულებათა გამოცემას შეუდგნენ. მთელი თხზულებანი გამოვა 15 ტომამდე, თითო ტომში—250—300 გვ. გამოცემა საუკეთესო იქნება.

**სოსო ირემაშვილმა** სინემატოგრაფის ლენტზე გადასაღებად დასწერა „რევოლიუციის ტალღებში“ რომელშიც მთელი ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური მოძრაობაა დასურათებული. ამ ნაწარმოებს ლენტებზე გადაიღებს კოოპერატივთა კავშირი.

**მივიღეთ** 8 ჭიჭინაძის ახალი გამოცემული წიგნაკი „პეტრე დიდმა როგორ მოატყუილა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა“ 16 გვ. ფ. 5 მან.


## განცხადებანი

მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია.**

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

## მასწ. გრიგოლ შავიშვილის

შემდეგი წიგნები

1 **„მეგი“**, დრამა 4 მოქმ.
2 **გამარჯვებულნი**, დრამა 4 მოქ.
3 **„სიმწრის ცრემლები“**, რომანი

(2 1)

## ახლად დაიბეჭდა და დაურიგდა

წიგნის მაღაზიებს გასაყიდათ

## „არითმეტიკულ ამოც. კრებული“

(ნაწევრები) ს. დათეშიძისა.

საწყობი თბილისში ქართველ ბეჭდითი ამხანაგობის სტამბა, რუსთავ. პრ. № 26 5—2


რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.